

საქართველოს შრომის ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტრო



MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND
SOCIAL PROTECTION OF GEORGIA

ა.ა.ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრი

The Centre of Public Health
OF BAGHDATI DISTRICT

ქ.ბაღდათი.რუსთაველის ქ. 24
ტ.595.956.138,
595.658.758

1000, GEORGIN,BAGHDATI
RustaveliStreed 24
T: 595.956.138,
595.658.758

№41

20.02.23

**არასამეწარმეო არაკომერციული იურდიული პირი - „ბაღდათის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიში 2022 წლის განმავლობაში შესრულებული
სამუშაოს შესახებ**

ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი უზრუნველყოფს გადამდები და არაგადამდები დაავადებების კონტროლისა და ეპიდზედამხედველობისთვის აუცილებელი საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებების გატარებას.

ცენტრის მიზანია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, მუნიციპალიტეტში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით გადამდები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე არაგადამდები დაავადებების და რისკების გამოვლენას, საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებას, დაავადებათა კონტროლს და პრევენციას.

ამ მიზნის მისაღწევად ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვა ანხორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

1 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მიზნობრივი პროგრამების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო თუ ადგილობრივ ღონისძიებები და მონიტორინგი კომპეტენციის ფარგლებში.

•2 გადამდები დაავადებების ერთიანი ეპიდზედამხედველობის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი; ეპიდაფეთქებების, ეპიდემიების მიზეზების დადგენა; ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში; განსაკუთრებით საშიში და მასთან გათანაბრებული ინფექციების კერებში ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება;

.3 იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა (მონიტორინგი და შეფასება).

.4 არაგადამდები (ქრონიკული) დაავადებების და ჯანმრთელობის რისკების (დეტერმინანტების) კვლევა, მონიტორინგი, პრევენციულ ღონისძიებებზე რეკომენდაციების შემუშავება და დაგეგმვა.

5.სანიტარულ ღონისძიებათა პროგრამა.

6 პარაზიტულ დაავადებათა პირველადი ეპიდკვლევა და მალარიის გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლა

7. ცხოვრების ჯანსაღი წესის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა.

8) სამედიცინო სტატისტიკის წარმოება, სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი კომპეტენციის ფარგლებში;

7) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების ირგვლივ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, საზოგადოებისათვის ინფორმაციის, რეკომენდაციების მიწოდება;

8) სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათთვის ინფორმაციის მიწოდება კომპეტენციის ფარგლებში.

განვიხილოთ შედეგები ცალკეული პროგრამების მიხედვით:

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა -- რუტინული ვაქცინაცია-ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 16 სექტემბრის 01-60/ნ ბრძანების შესაბამისად. იმავე ბრძანებით ხორციელდება იმუნიზაცია ეპიდ ჩვენებით ცოფზე, გრიპზე ტეტანუსზე. covid-19-ის ვაქცინაცია ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის 01-11/ნ ბრძანების შესაბამისად.

ხარისხიანი ვაქცინის მიწოდება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან თითოეულ პაციენტამდე ხდება „ცივი ჯაჭვის სისტემით“ რომლითაც აღჭურვილია თვით საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მის დაქვემდებარებაში არსებული ანალოგიური ინვენტარი განლაგებულია „ჯეოჰოსპიტალში“ და ყველა სოფლის ამბულატორიაში. აღნიშნული ინვენტარის განახლება ხდება საჭიროებისამებრ.

2022 წლის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მიუხედავად პანდემიისა ყველა მართვადი ინფექციის მიმართ მაღალი მაჩვენებელი გვაქვს, კერძოდ:

ჰექსა (დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი+, ბ ”ჰეპატიტი, ჰემოფილია ინფლუენცია+პოლიომიელიტი) წლამდე – 92.4%

როტარიქსი წლამდე – 74.5%

წწყი (წითელა, წითურა, ყბაყურა) – 95.4%

პნევმოკოკური3 – 91.7%

ტეტრა1 (დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი პოლიომიელიტი) 1 წლის და 6 თვის ასაკში – 84.8%

ტეტრა2 (დიფტერია, ტეტანუსი პოლიომიელიტი) და წწყ2, 5 წლის ასაკში – 98.1%

აპვ1 (ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა)-9-10-11 წლის გოგონები -100%

აპვ2 (ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა)-იმავე ასაკში 6 თვის შემდეგ-92.1%

ტდ (ტეტანუსი, დიფთერია) 14 წლის ასაკში – 99.4%

COVI-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ცაუტარდა 1777 პირს

გრიპის საწინააღმდეგო აცრა ჩაუტარდა-2608 პირს

ცოფის საწინააღმდეგო აცრა ჩაუტარდა-358 პირს და დაიხარჯა 1014 დოზა ანტირაბიული ვაქცინა და 12 დოზა იმუნოგლობულინი.

2022 წლის განმავლობაში ვაქცინების შემოტანასა და პროვაიდერებამდე მიწოდებაში

შეფერხება არ ყოფილა. სულ რუტინული იმუნიზაციისთვის შემოტანილი იქნა 6782 დოზა

ვაქცინა, 1886 კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინა, შესაბამისი შპრიცებით და სხვა სახარჯი მასალით.

მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით გადავედით იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულზე, რომელიც უკვე კარგი გამართულია, ყველა ექიმი, რომელიც მუშაობს იმუნიზაციის პროგრამაზე აქვს კომპიუტერი და ინტერნეტთან წვდომა, მაგრამ ჯერ კიდევ პრობლემად რჩება პრინტერები, ამიტომ ანგარიშების ბეჭდვა ძირითადად საზოგადოებრივ ჯანდაცვაში უწევთ.

აპრილის თვეში წარმატებით ჩატარდა იმუნიზაციის კვირეული, შემოტანილი იქნა ბუკლეტები დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯამრთელობის ეროვნული ცენტრიდან, ჩატარდა ლექცია –საუბრები მოსახლეობაში დაზოგად საგანმანათლებლო სკოლებსა და ბაღებში.

ყოველ თვეში ტარდება 3-4 ამბულატორიის მონიტორინგი სადაც დაწვრილებით განიხილება იმუნიზაციის საკითხები, ეძლევათ შესაბამისი რეკომენდაციები.

ინფექციურ დაავადებათა ზედამხედველობა-ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის 01-26/ნ, 2006 წლის 55/ო ბრძანების შესაბამისად, მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 და 2020 წლის 15 ივნისის 975 დადგენილების შესაბამისად.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ინფექციურ დაავადებათა შემთხვევები

ინფ. დაავადებები	შემოსული შეტყობინება	დადასტურებული შემთხვევები
ცოფის რისკის ექსპოზიცია	342	0
ტუბერკულოზი	41	4
ბრუცელოზი	5	3
ლეიშმანიოზი	1	1
ჯილეხი	3	0
ყივანახველა	1	1
სიფილისი ორსულებში	2	0
ნოზოკომიური პნევმონია	10	10
საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია	2	2
პოქსოვირუსებით გამოწვეული ინფექცია	4	4
ლეპტოსპიროზი	18	9
სალმონელოზი	1	1
ლაიმის დაავადება	6	4
Covid-19	4210	4210
ჰეპატიტი „ც“	6936(გამოკვლეული)	27
სავარაუდოდ ინფექციური წარმოშობის დიარეა	155	ა/შ

ჩუტყვავილა	13	0
აივშიდსზე ტესტირებული	18	ა/შ

ძირითადი ყურადღება დაეთმო covid-19 ზე პაციენტების ეპიდ კვლევას, კონტაქტების მოძიებას, მათზე მეთვალყურეობის დამყარებას ინკუბაციური პერიოდის განმავლობაში.

2022 წლის Covid-19-ის ანალიზი


2022 წლის Covid-19-ის შემთხვევების გადანაწილება თვეების მიხედვით

თვე	რაოდენობა
იანვარი	749
თებერვალი	2402
მარტი	369
აპრილი	33
მაისი	16
ივნისი	6
ივლისი	107
აგვისტო	299
სექტემბერი	143
ოქტომბერი	51
ნოემბერი	28
„დეკემბერი	7
სულ	4210



Covid-19-ის შემთხვევების განაწილება ასაკის მიხედვით


შემთხვევების ასაკობრივი განაწილება	რაოდენობა
>1 წ.	46
1-4 წ.	101
5-14 წ.	435
15-19 წ.	208
20-29 წ.	484
30-59 წ.	1858
60 წ +	1078
სულ	4210



Covid-19-ის შემთხვევების განაწილება სქესის მიხედვით

სქესი	რაოდენობა	%
ქალი	2232	53%
კაცი	1978	47%
სულ	4210	

Covid-19-ის შემთხვევების განაწილება სქესის მიხედვით (%)




Covid-19-ის შემთხვევების განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

ტერიტორიული განაწილება	რაოდენობა
ბაღდათი	1175
დიმი	698
ზედა დიმი	196
ფერსათი	509
პირველი ოზჩა	319
მეორე ოზჩა	158
წითელხევი	338
როხი	183
დიდველა-როკითი	229
ნერგეთი	40
საკრაულა	24
ზეგანი	72
ვარციხე	218
ხანი	51
სულ	4210

COVID-19-ის ტერიტორიული განაწილება

■ COVID-19-ის ტერიტორიული განაწილება



2022 წელს ჩატარებული ტესტების რაოდენობა

სწრაფი Antigen ტესტი	25523
PCR ტესტი	3057
სულ	28580

გამსვლელი ბრიგადების მეშვეობით აქტიურად მიმდინარეობდა ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების, შსს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტების ტესტირება, ტესტირება ხორციელდებოდა როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასევე „ჯეოჰოსპიტალის“ ბაზაზე. ტესტების მომარაგებასა და მიწოდებაში წყვეტა არ ყოფილა.

„ჯეო ჰოსპიტალის“ ბაზაზე ფუნქციონირებს ანტირაბიული კაბინეტი რომელმაც სულ 2022 წელს გაატარა 358 პაციენტი დაიხარჯა 1014 დოზა ვაქცინა და 12 დოზა იმნოგლობულინი, არცერთის მომარაგებაში წყვეტა არ ყოფილა.

ინტეგრირებული სკრინინგის მიზანია „ც“ ჰეპატიტის, აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა და საზოგადოებაში მისი გავრცელების პრევენცია. ადგილობრივი თვით მმართველობის მიერ 2022 წელს გამოყოფილი იყო 5254 ლარი და გაიტესტა 2608 პირი. დადებითი იყო 3.

2022 წელს დარეგისტრირდა ტუბერკულოზის 4 შემთხვევა.

რაც შეეხება არაინფექციურ დაავადებათა ზედამხედველობას სულ სოფლის ექიმების და ჯეოჰოსპიტალის მიერ გატარებულია -18223- პაციენტი.აქედან:

ენდოკრინული სისტემის დაავადებით ---1440

ნერვული სისტემის დაავადებით---932

სისხლის მიმოქცევის სისტემით---4680

საჭმლის მომნელებელი სისტემით--1057

ძვალ კუნთოვანი სისტემით----650

შარდსასქესო სისტემით---582

სასუნთქი სისტემით--2860

თვალის დაავადებები--874

თუ თვალს გადავავლებთ 5 წლის დინამიკას, მოიმატა, მაგრამ პანდემიის პერიოდში ერთ დონეზე იყო გულსისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემის, ნერვული,ძვალსახსროვანი სისტემის დაავადებები,საგრძობლად მოიმატა ენდოკრინული,საჭმლის მომნელებელი,შარდსასქესო და ოფთალმოლოგიური დაავადებების რიცხვმა.

ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამაში მუშაობს დზეის პროგრამა(დაავადებათა ზედამხედველობის ინტეგრირებული სისტემა) რონმელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ასახავს ინფექციურ დაავადებათა გავრცელებას და კვლევის შედეგებს.ამ პროგრამით მიღებული შეტყობინების საფუძველზე ხდება თითოეული პაციენტის და ეპიდ კერის კვლევა.

ყოველ თვეში ტარდება 4-5 ამბულატორიის მონიტორინგი,ვუზრუნველყოფთ მეთოდურ დახმარებას ცალკეული დაავადებების მმართველის საკითხებში. „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ხორციელდება „ც“ჰეპატიტის„მიღევნების“ პროგრამა,რაც გულისხმობს დადებითი პაციენტების მოძიებას და მათ ჩართვას მკურნალობაში.

სანიტარულ ღონისძიებათა პროგრამა -2022 წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის და ბაღის მონიტორინგი, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაზე.

ძალზე მნიშვნელოვანია 2015 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილება „ ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას, ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სანიტარულ ნორმების დამტკიცების შესახებ“ ამ დადგენილების ფარგლებში შემოწმებული იქნა ბაღდათის ტერიტორიაზე განთავსებული ის სალონები რომელსაც უწევდათ გეგმიური მონიტორინგი, აქაც ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო კოვიდ-19-ის პრევენციულ ღონისძიებებზე.

პარაზიტულ დაავადებათა პირველადი ეპიდკვლევა და მალარიის გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლა - კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე ჰელმინთოზებზე სკრინინგული კვლევა საკმაოდ შეზრუდული იყო, რაც გამოიხატა დაბალ მომართვიანობაში და როგორც ავღნიშნეთ ბაღები და სკოლები ძირითადად ონლაინ სწავლებაზე იყვნენ გადასული, მიუხედავად ამისა 2022 წელს ჰელმინთოზებზე გამოკვლეული იყო 431 პირი, აქედან ასკარიდოზით დაავადებული იყო 52 , ენტერობიოზით 68, ტრიხოცეფალოზით 13. ყველა მათგანს მიეცა რეკომენდაციები მკურნალობის და ჰიგიენის საკითხებზე.

მალარიის გადამტანი ფაუნის გავრცელების საწინააღმდეგოდ ჩატარდა წყალსატევების პასპორტიზაცია: ვარციხის, დიმის, დიდველა, როკითის და რაიონული ცენტრის ტერიტორიაზე. სულ აღმოჩენილია 150 წყალსატევი 57 ჰექტარზე მათ შორის ანოფელოგენური

იყო 25 და 8-3ა, ჭაობი 0,26-3ა, ტბორები 0,8 3ა-ზე, აღნიშნული წყალსატევებიდან გამოკველული იქნა მუდმივი და დროებითი წყალსატევები, მუდმივი წტალსატევების რიცხვი შეადგენს 104- 3ა-ს, ფიზიკური ფართობით 12,3-3ა. დროებითი წყალსატევების როცხვი 46-ია ფიზიკური ფართობი 44,9-3ა. ანოფელოგენურ წყალსატევებში საჭიროების მიხედვით ხდება მალარიის გადამტანი კოლოს ნაჩეკების საწინააღმდეგოდ თევზი გამბუზის გადაყვანა.

ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 2022 წელს დაფინანსებული იყო 123800 ლარით, მათ შორის 5254 ლარი გამოიყო „ც“ ჰეპატიტის, აივ ინფექცია შიდსის და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგისთვის.

თუ გასულ საქმიანობის შეჯამებით, მინდა თამამად ვთქვა, რომ ჩვენმა გუნდმა, ყველაფერი გააკეთა, რომ გამოწვევებისთვის გაეძლო და მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით ემსახურა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის. ჩვენ შევძელით ადაპტირება, კომპეტენციის ფარგლებში რთული საქმიანობის გაგრძელება და განვითარება. მსურს გამოვხატო მადლიერება და აღვნიშნო ჩვენი კოლექტივის, შრომა, მონდომება და საქმისადმი ერთგულება, რისი მეშვეობითაც ცოდნა, გამოცდილება, რესურსები და დრო დაუთმეთ ჩვენზე დაკისრებული მისიის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფუნქციების შესრულებას. მადლობა თქვენ იმ თანადგომისთვის, რასაც სწევთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ფუნქციონირებისთვის. ერთობლივი მუშაობისა და 2022 წლის გამოწვევების გაზიარებისთვის. ასევე მადლობა თქვენი წვლილის შეტანისთვის COVID-პანდემიასთან ბრძოლის საქმეში. ეს ჩვენი ერთობლივი საქმეა და ყოველი მიღწევა თუ წარუმატებლობა ასევე საერთო და საზიაროა.

როგორც მოგეხსენებათ, სასაზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის სწორად მოწყობა და გამართული ფუნქციონირება წინაპირობაა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების და სხვადასხვა გამოწვევებზე სწრაფი და ადექვატური რეაგირებისათვის, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა კოვიდ პანდემიის დროს. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების მოწყობა არის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების პრეროგატივა, ხოლო მათი მეთოდოლოგიური კოორდინაცია და სამედიცინო მასალის და ინვენტარის მოწოდება ხდება ცენტრალური დონიდან დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ.

ყველაზე მწვავე პრობლემა რომელიც სამსახურის წინაშე დგას არის მატერიალურ ტექნიკური ბაზა, მოგეხსენებათ შენობა სრულ შეუსაბამობასია საზოგადოებრივი ჯანდაცვითი პროგრამების განხორციელებასა და სერვისების მიწოდებასთან, დაზიანებულია კედლები, ჭერი, იატაკი, შენობას არა აქვს საკმარისი ფართი საზოგადოებრივი ჯანდაცვითი პროგრამების განხორციელებისთვის, რაც კიდევ უფრო მწვავე გახდა კოვიდ პანდემიის დროს, ამის გამო დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციით მოხდა ლაბორატორიული საქმიანობის შეწყვეტა. რადგან აღნიშნული საქმიანობა ფინანსური საფრთხის შემცველიც იყო, ამის გამო Covid-19-ზე ტესტირება დარჩა ჯეოჰოსპიტალის ბაზაზე.

კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით რომ აღნიშნული საკითხი დადებითად გადაწყდეს, რათა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა შეძლოს ნორმალური ფუნქციონირება ბაღდათის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით
ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის
დირექტორი: ნატო მაჩიტაძე